მშრომელთა ყველა ქვეყნის, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО И ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 29 იანვარი, 1942 წ. № 24 (6340). ფასი 15 კაპ.

საბჭოთა ინტელიგენცია სამამულო ომში

საბჭოთა ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი ინტელიგენციით, როგორც თავისი ღვიძლი პირმშოთი. საბჭოთა ინტელიგენცია ხალხის ხორცისა და სისხლ-სისხლთა-განით ეს არის ახალი, შრომელი ინტელიგენცია. იგი თვით თავისი ფესვებით დაკავშირებულია მუშათა კლასთან და გლეხობასთან. თვალი ძისი ცხოვრება, თვალი მისი საქმიანობა შრომელთა სამსახურისადმი არის მიძღვნილი. ხალხთან შუაგზეი, მეფიდრო კავშირი საბჭოთა ინტელიგენციას ანიჭებს გაბედულებას, სიმტკიცეს, ძალას. საბჭოთა ინტელიგენცია მუშებთან და გლეხებთან ერთ საბრძოლო მწყობრში დგას, როგორც საბჭოთა საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი.

დიდი და საპატიო ინტელიგენციის როლი საბჭოთა ქვეყანაში. საბჭოთა საზოგადოების ეკონომიდან და ფინანსთარების საფუძველს წარმოადგენს მუშათა და გლეხთა მეფიდრო კავშირი, რაც განმტკიცებულია ამ კლასებისა და შრომელი ინტელიგენციის კავშირით. საბჭოთა ქვეყანა მუშათა, გლეხთა და ჩვენი ინტელიგენციის ერთიანობას ეფყარება. ეს არის საბჭოთა წყობილების, საბჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცისა და ურყეობის საწინდარი, საბჭოთა სახელმწიფოსა, რომელსაც ალმოიზრდა ულარი წარმატებით გაეძლო ისეთი განსაცდელისათვის, როგორსაც მსოფლიოში ვერც ერთი სხვა სახელმწიფო ვერ გაუძლებდა.

ლენინმა და სტალინმა გამოზარდეს ია ალზარდეს საბჭოთა ინტელიგენცია, ისინი მისი მასწავლებლები, ხელმძღვანელები არიან. ბოლშევიკების პარტია, საბჭოთა ხელისუფლება მრავალი წლის განმავლობა უდიდესი ყურადღებითა და სიყვარულით ჰპერნიდნენ საბჭოთა ინტელიგენციის კადრებს. „შედეგად ჩვენ ამჟამად გვყავს მრავალრიცხოვანი, ახალი, ხალხური, სოციალისტური ინტელიგენცია, რომელიც ძირფესვიანად განსხვავდება ძველი ბურჟუაზიული ინტელიგენციისგან როგორც თავისი შემადგენლობით, ისე თავისი სოციალურ-პოლიტიკური სახით“ (სტალინი).

შემოქმედება ცოცხალ, დაუშრეტელ წყაროებად სჩქეფს საბჭოთა ინტელიგენციაში. იგი მდიდარია ტალანტებით. ყოველივე ნიჭიერი, რაც კი საბჭოთა ხალხში მოიპოვება, ინტელიგენციის რიგებს უერთდება სკოლების, უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების მრავალრიცხოვანი ჭესელი მეშვეობით. სტალინური სტიპენდიები ; მოსწავლეებისათვის, მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურის და ხელოვნების დარგის განსაკუთრებული ზრუნვებისათვის დაწესებული სტალინური პრემიები ახალისებენ კეთილშობილ შეჯიბრობას სწავლასა და შემოქმედებაში. ტეხანოვური მოძრაობა განუწყვეტლივ ჰმატებს საბჭოთა ინტელიგენციის შემადგენლობას ისეთ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ ჯანსაღი ხალხური საზრიანობა და ცოცხალი აზრი, ინიციატივა და გამომგონებლობის უნარი.

ჩვენი მშრომელი ინტელიგენცია თავისი შემადგენლობით მრავალეროვანია, ისევე როგორც მრავალეროვანია მთელი საბჭოთა ხალხი. საბჭოთა ინტელიგენციაში თავმოყრილი არიან სსრ კავშირში მოსახლე ყველა ხალხის რჩეული ადამიანები, კულტურის ოსტატები და მუშაკთა მათი კეთილეფიციური კადრები. ხალხთა თანაშრომლობისა და მეგობრობის ლენინურ-სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ განუსაზღვრელი შესაძლებლობანი შეჰქმნა სსრ კავშირის ყველა ხალხს კულტურის განვითარებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ახალი ბრწყინვალე ფურცლები ჩაიწერა რუსული კულტურის სახელოვან ისტორიაში, აყვავდა სსრ კავშირის ყველა ხალხის კულტურა, ყველა ნაციონალურ საბჭოთა რესპუბლიკაში შეიქმნა შრომალრიცხოვანი სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო ინსტიტუტები. ყოველ ხალხში ჩამაჩნდა შემოქმედების უმდიდრესი ნიჭი და ეს ნიჭი მთლიანად იფურჩქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხი თავისუფალია, როდესაც მის წინაშე გახსნილია ყველა გზა. საბჭოთა ინტელიგენცია თავისუფლად და სიხარულით აჭქნის შინაარსით სოციალისტურ და ფორმით ნაციონალურ კულტურას.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და დამშნეებელთა წინააღმდეგ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ინტელიგენციამ ღირსეული ადგილი დაიკავა. იგი ამართულს ხალხს ნდობას. გმირული წითელი არმიის სახრძალო რიგებში მუშებისა და გლეხების გვერდით უმჩარად იბრძვიან სამშობლოსათვის საბჭოთა ინტელიგენტები. მრავალმა ათეულმა ათასმა პატრიოტმა მოქალაქემ შაშხანითა და ტყვიამფრქვევით შესცვალა კალამი, ფარგალი, მიკროსკოპი. ამა შორის ცოტანი როდი არიან გმირები, რომლებმაც სიცოცხლითა და სიკეთილით ალბეჭდეს თავიანთი თავდადებული სამსახური ხალხისათვის.

საბჭოთა ინტელიგენციამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სსრ კავშირის სამხედრო ძალიერების შექმნის საქმეში. თუ მთელი მსოფლიო განცვიფრებული და აღტაცებული წითელი არმიის ტექნიკური შეიარაღებით, საბჭოთა იარაღის საუცხო ხარისხით, საბჭოთა კონსტრუქციების ორიგინალობით, თუ მტერი თავზარ დაცემული ჩვენი ტანკების საჭრელი ფოლვებით, ჩვენი არტილერიის ძლეგრებით და ჩვენი ავიაციის უფეტურობით, ამაში საკმაო დამსახურება მიეძღვის საბჭოთა ინტელიგენციას, მის საუკეთესო წარმომადგენლებს. მის წრეში აღიზარდნენ თავისი საქმის ისეთი გამოჩენილი ოსტატები, როგორიც არიან საბჭოთა თვითმფრინავების, ავიამოტორების, ტანკების, არტილერიის, სასროკო იარაღის შემოქმედნენი, რომლებსაც მთელი ჩვენი ქვეყანა და მთელი მსოფლიო იცნობს; ბევრ მათგანს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა. ორდენებით დაჯილდოებულია ბევრი შუმაკი ჩვენი მრეწველობისა, რომელიც იარაღს აწედის წითელ არმიას. დაჯილდოებულია სიყი საბჭოთა ტექნიკური ინტელიგენციის მოწინავე ადამიანთა ჩამოთვლა.

საბჭოთა ინტელიგენცია მტკიცე ხალხური მასალისაგან არის შექმნილი. ეს ენი ნაწი, სუსტნერვებიანი, გაანზიზებული და მყიფერო კაბინეტების ფბილ ვითარებას მიჩვეული ადამიანები როდი არიან. საბჭოთა ინტელიგენტების დიდი უმრავლესობა მუშათა და გლეხთა წრიდან არის გამოსული. საბჭოთა ინტელიგენტისათვის უცხო არ არის შრომა, მას ვერ დაამინებ სინანულებითა და გაჭირვებით. მან იცის, თუ როგორ იბრძოდნენ მამები მისნი ბედნიერებისათვის სამოქალაქო ომის მძიმე წლებში. და იგი თვითონაც მზად არის იბრძოლოს თავისი სამშობლოს ბედნიერებისათვის, თავისი ხალხის ბედნიერებისათვის, თავისი შვილების ბედნიერებისათვის.

მოსკოვის დაცვის გმირულ ეპოპაში დიდი მამაცობა და უშიშრობა გამოიჩინეს საბჭოთა ინტელიგენტებმა — წითელი არმიის მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა, მასწავლებლებმა და ინჟინრებმა, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებმა. ლენინგრადის ინტელიგენცია მამაცურად იტანს გაჭირვებას უძნელეს პირობებში და მტაცედ დგას თავის გმირულ პოსტზე. იგი ფრონტისათვის მუშაობს. თავდ თავის ცოდნას იგი თავდაცვის საქმეს ახმარებს. მას ასეულდეულებს მხოლოდ ერთი ფიქრი—გამარჯვების ფიქრი. საბჭოთა ხალხს ყველაზე სუფთავარ, ყველაზე ძვირფას ფიქრებში ჩაიწერება გმირული ამბავი მოსკოვისა და ლენინგრადის დაცვის შესახებ, უშიშარ პატრიოტთა ცხოვრებისა და ბრძოლის შესახებ, საბჭოთა მეცნიერების, ინჟინრების, ექიმების, შესწავლელების თავდადებული მუშაობის შესახებ.

საბჭოთა ინტელიგენტები მუშებთან და გლეხებთან, წითელი არმიის მამაც მეომრებთან გაუწყვეტელ ურთიერთობაში განამტკიცებენ თავიანთ საბრძოლო სულისკვეთებას და წარმატებით სპობენ „ინტელიგენტურ“ განწყობილებათა ნაშთებს, რაც აქაქ ჯერ კიდევ გვხვდება. ნამდვილ საბჭოთა ინტელიგენტთან არაფერი საერთო არა აქვს იმ „შემინებულ ინტელიგენტებს“, რომელთაც თავზარს სცემს უხეშად შეთითხნილი „საშინელი“ ფაშისტური ეშმაკი, რომელთაც არ შესწევთ ჩვენი დიადი ბრძოლის პერსპექტივების დანახვის უნარი და ოდნავი წარმატებლობის გამოც კი სასოწარკვეთილებას ეძლევიან და ზზად არიან სიმაე სოროში შეძვრნენ.

ჰიტლერი და მისი ბანდა ისახავენ გიეერ და სულელურ გეგმებს — დაიყოონ საბჭოთა ქვეყანა, მოსპონ საბჭოთა სახელმწიფო, გაიგრძანელონ სსრ კავშირის ხალხები, გადაქცინონ ყველა საბჭოთა ადამიანი გერმანელ კაპიტალისტთა და მემამფლთა მონებად. ჰიტლერელ ყაჩაღს სურთ ეაიუპპროვნონ ჩვენი მრავალეროვანი მშრომელი ინტელიგენცია და გერმანიის ფაშიზირებული ინტელიგენციის მსახურებად გადაქცინონ იგი. გიეერი, უგდენერი და დანაშაულებრივი განზრახვანა ვერასოდეს ვერ მოესწრებიან გერმანელები იმას, რომ საბჭოთა ადამიანები მსახურნაა გაიხდონ! საბჭოთა ინტელიგენცია მხოლოდ თავის ხალხს ემსახურება.

ფაშიზმის ხალხეტიკა ყველგან ექითგენ არის მიმართული, რომ გაიაქიროვნოს დამონებული ხალხების ინტელიგენცია. ფაშისტები მათ მიერ დაკაბულ ქვეყნებში მხოლოდ ისეთ ინტელიგენტს ეურიგებიან, რომელიც მზად არის, ბატონებს — დამპყრობლებს ემსახუროს. თავისი ხალხის უარყოფა, თავისი ნაციონალური სახის უარყოფა — აი ის პირობა, რომელიც ჰიტლერის მიერ დამონებულ ქვეყანაში ინტელიგენტს შეეძლოა შეინარჩუნოს თავისი უბადრუკი ფიზიკური არსებობა.

დასავლეთ ევროპაში, ზოგიერთ ქვეყანაში ჰიტლერმა ისოფა ასეთი ლაქაჩები, ბაგრამ ისინიც უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენენ თავიანთ ხალხში. სსრ კავშირში გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა ვერ ისოფეს და ვერც ო

იერ გამცემლებს, მონებს, ლაქიებს საბჭოთა ინტელიგენციაში. ეს იციან ჰიტლერელმა ბანდიტებმა, ამაში ისინი უკვე დარწმუნენენ. ამიტომ არის, რომ ისინი ასე გაფთრებით ესწორდებიან საბჭოთა ინტელიგენტებს, რომლებიც მათ ხელში ჩაუვარდნათ.

საბჭოთა ომის ცეცხლში კიდევ უფრო გამოიწრთო საბჭოთა ინტელიგენციის კავშირი ხალხთან. საბჭოთა ქვეყნის მთელი ძალები გაერთიანებულნი ეროვნულ ომში — „ეროვნული ომ“ — მიაღწიონ გერმანიის ფაშიზმის სრულ და საბოლოო განადგურებას. დღითიდღე სულ უფრო და უფრო მტკიცდ, კიდევ უფრო ჩქარდება ირაზმებიან საბჭოთა სამშობლოს დამცველთა რიგები.

საბჭოთა ინტელიგენციის მტკიცე ნაბიჯი მიდის წინ, საბჭოთა ქვეყნის ყველა შრომელთან მხარეამხარ.

„პრავდის“ მოწინავე, 28/I.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

28 იანვრის ღილის ცნობა

27 იანვრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბანაგრძანდნენ შეტევითს ბრძოლებს გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ.

* * *

ბრძოლთა ჯგუფმა უფროს ლეიტენანტ ხარატონოვის ხელმძღვანელობით (დასავლეთის ფრონტი) მტრის ბატალიონის წინააღმდეგ გაიფთრებული ბრძოლის შედეგად გერმანელები გაწყვეს ერთი დასახლებული პუნქტიდან. მტერმა ბრძოლის ველზე დატოვა 350 მოკლული და დაჭრილი. ამავ უბანზე ორმა ჩვენმა ქვეგანყოფამ ამმ. ილარიონოვისა და ბოლშევის მეთაურობით მოიგერია კონტრიერიანი მტრის სამი ასეულისა, რომელებსაც ტანკები ეხმარებოდნენ. მტერმა უწესრიგოდ დაიხია, ამასთან მოკლულთა სახით დაჰკარგა 100-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ჩვენმა მეომრებმა, რომლებიც სამხრეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებენ, დღის განმავლობაში გაათავისუფლეს 40 დასახლებული პუნქტი და ხელი იგდეს ერთი ტანკი, 5 ქვემეხი, 7 ტყვიამფრქვევი, 8 ნაღმსატყორცანი, 70 ავტომანქანა, 4 რაკეტა, 106 ცხენი, ტელეფონის ანარატები, სიმარი მასალა და დიდძალი სხვა ფაფალ.

* * *

მოთხილამურეთა რაზმმა ამმ. თიფურიძის მეთაურობით 200 კილომეტრი გაიარა მტრის ზურგში და ხელთ იგდო 3 ტანკი, ჯავშნიანი მანქანა, 6 ქვემეხი და 150 სატვირთო მანქანა.

* * *

გერმანელებმა დაზიანებულ ტანკში მოაწყეს საცეცხლე წერტილი და იქიდან ტყვიამფრქვევს უშენდნენ ჩვენს პოზიციებს. სერჟანტი იფეკოვი და წითელარმიელი იაკოვლევი მტრის ტანკთან მიხოსლბრნენ, 4 გერმანელი დაიხოცეს, 2 ტყვიამფრქვევი წამოიღეს და შეტევიდან დაბრუნდნენ თავიანთ ქვეგანყოფაში.

* * *

გერმანიის 263-ე ქვეითი დივიზიის 463-ე პოლკის მე-11 ასეულის ტყვე ჯარისკაცმა ეფაილ კორნელიმ განაცხადა: „ჩვენი პოლკი ფრონტზე გასული წლის ოქტომბერში მოვიდა საფრანგეთიდან. პოლკი დიდად დაზარალდა და ამჟამად მასში სულ დიდი 500 კაცი თუნდა. მე-11 ასეულში მხოლოდ 14 ჯარისკაცი დარჩა. ყველა დანარჩენი დაჭრილი ან მოკლულია, ხოლო 20 ჯარისკაცი ფეხებდამბრალი გაიგზავნა ლაზარეთში. ამ უკანასკნელ დღეებში მე-12 ასეულში განზრახვ თვითდასახიჩრების 9 შემთხვევა იყო“.

* * *

ფაშისტ დამპყრობლებისაგან განთავისუფფლებული სოფელ პუპკოვიში ალმოჩენილ იქნა ჰიტლერელების მიერ დასახიჩრებული 2 ზეოკლიმელის გვამი. მათ მოჭრილი აქვთ ცხვრის. მკერდზე ამოჭრილი აქვთ ვარსკვლავები. ორივე გვამი ხიშტით არის დაჭასვეტილი.

* * *

სომხეთის მშრომელნი ახალ საფრთხით წარმატებებს ალწევენ. კაფანის მოწინავე მაღაროელნი მრავალჯერი გადამტკიცებით ასრულებენ ნორმას. მბურღავმა სამოსონ ოსანესიანმა დღიური გეგმა შეასრულა 760 პროცენტით, აკოპ ზახარიანმა—354 პროცენტით, ზაკე ბაბეიანმა—433 პროცენტით. მბურღავმა ივანე როტკოვმა მოიანგრია 624 ტონა მადანი, 2.480 პროცენტით შეასრულა ცვლის გეგმა და გამოიმუშავა 1.150 მანეთი. კაფანის კომბინატის მექანიკური სახელოსნის ბარატმა ამაზის მოეცალსაანმა 1.400 პროცენტით შეასრულა დღიური დავალება, ხოლო ზეინალიმა დაეფი ოკანნაზარიანმა — 1.183 პროცენტით.

28 იანვრის საღამოს ცნობა

28 იანვრის განმავლობაში ჩვენი ჯარები მტერთან შეუპოვარ ბრძოლებს ეწეოდნენ, რომლის პროცესშიც დიდი ზარალი მიაყენეს გერმანიის ფაშისტური ჯარების ცოცხალ ძალას და კვლავ წინ წაიწიეს.

27 იანვრის განმავლობაში სპპაერ ბრძოლების დროს ჩამოგდებულია გერმანიის 12 თვითმფრინავი და აეროდრომებზე მოსპობილია მტრის 17 თვითმფრინავი. სულ აღნიშნული დღის განმავლობაში მოსპობილია გერმანიის 29 თვითმფრინავი. ჩვენ 7 თვითმფრინავი დაკარგეთ.

28 იანვრის განმავლობაში მოსკოვთან ჩამოგდებულია გერმანიის 2 თვითმფრინავი.

* * *

27 იანვარს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა მოსპეს გერმანელთა 13 ტანკი, 334 ავტომანქანა ქვეითი ჯარითა და ტვირთითურთ, სომარი მასალით დატვირთული 50-ზე მეტი სახლიანი, 9 ქვემეხი მოსამსახურე პერსონალითა, 10 საზენიტო-სატყვიამფრქვეევი წერტი, ცეცხლი წაუკიდეს რკინიგზის 2 ეშელონს, გაფანტეს და ნაწილობრივ გაალტეს მტრის 4 ბატალიონი ქვეითი ჯარი.

* * *

ჩვენმა მსროლელთა ნაწილმა, რომელიც დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებს, 26 იანვარს მტერთან შეუპოვარი ბრძოლის დროს 300-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპო და ხელთ იგდო 2 ქვემეხი, 33 ტყვიამფრქვევი და 5 ნაღმსატყორცანი. სხვა უბანზე ლეიტენანტ ელაგინის ქვეგანყოფამ ხიშტის ირეშით განდევნა გერმანელები დასახლებული პუნქტიდან და ხელთ იგდო მტრის 3 ქვემეხი, 6 ტყვიამფრქვევი, 100 შაშხანა, დიდძალი ყუმბარა და ვაზნა.

* * *

სოფელ ბ-სათვის წარმოებულ ბრძოლაში ბატარიამ, რომელსაც ამხ. პალგოვი მეთაურობს, გამოლილი პოზიციიდან მტრის 3 „ფსიქეფრი“ ირეშე მოიგერია. ფინდოხის მარჯვე ზალპებით ბატარიის არტილერისტებმა მტრის 150 ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს.

* * *

წითელარმიელი რიბაჩევი პირველი შეიჭრა გერმანელთა მიერ დაკავებულ სოფელში, სადაც მოჰკლა გერმანელი ოფიცერი, მწყობრიდან გამოიყვანა ტყვიამფრქვევის გუნდი და ხელთ იგდო მტრის დაზგის ტყვიამფრქვევი.

* * *

მტრის იმ ნაწილების ზურგში მოქმედმა უმცროსმა ლეიტენანტ ესინის ქვეგანაყოფმა, რომელიც უკან იხეკნენ, 4 დღის განმავლობაში მწყობრიდან გამოიყვანა მოწინააღმდეგის 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპო 30 ავტომანქანა და ათობით სახიდარი სამხედრო საუზრეთლიერთ.

* * *

პარტიზანული რაზმები, რომლებიც მოსკოვის ოლქის ამემაგი განთავისუფლებულ ადგილებში, ბრძოლებ და მშვიდობიანი ცხოვრებ ეწევიან. ბ-ნ ბ-ნ ბ-ნ ... ...

ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡᲛᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ ᲓᲐᲛᲐᲯᲘᲜᲔᲑᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ

ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲐᲠᲔ ᲛᲘᲠᲖᲐ ᲓᲐᲛᲐᲯᲘᲜᲔᲑᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ

(ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ, 27 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ) ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲐᲠᲔ ᲛᲘᲠᲖᲐ ᲓᲐᲛᲐᲯᲘᲜᲔᲑᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.